



# საქართველო

**ქართული**  
 ხელის მოწერა და დასაბუჯი დასაბუჯებანი მიიღება „საქართველო“ რედაქციაში და კანტორაში ყოველდღე კვირა უქმეების გარდა, დილის 9—3-მდე, საღამოს 5—7-მდე.  
 ხელმოწერული წერილები არ დაიბეჭდება; დაუბეჭდავი მკითხველი წერილები და კორესპონდენციები სულ არ იხაზება; იხაზება ერთი თვით მხოლოდ დიდი წერილები და მოთხრობანი.  
 რედაქცია და კანტორა იწყობება: თბილისში, მოსკოვის ქუჩაზე, № 4.  
 ფოსტის ადრესი წერილებისა და ფულისათვის: Тифлиси, редакция „Сакартвело“, поч. ящик № 76.

განცხადების ფასი:

ჩვეულებრივი სტრიქონი პირველ გვერდზე პეტიტით ღირს 15 კ., უკანასკნელზე—10კ., სამკლო-ვიარო განცხადება პირველ გვერდზე თითოჯერ საღამოს 4 საათამდე ღირს 4 მან., 4 საათის შემდეგ (მიიღება მხოლოდ ს. ლოსაბერიძის სტამბაში, მოსკოვის ქუჩაზე) ეტირება 5 მანეთი.

## საქართველოს კანტორისაგან

გაზეთი „საქართველო“ 1 სექტემბერიდან წლის დამლევაზე ღირს 3 მ.—50 კ. მოვარდნით იმ ხელის მოწერით, ვისაც ხვედრი ფული არ აქვს გადახდილი გაზეთის გზავნა შეუჩერდებათ.  
 მისამართი: გ. თბილისი, რედაქცია „საქართველო“, Московская 4, поч. ящик № 76.  
 კანტორა უმორჩილესად სთხოვს თბილისის ხელის მოწერით დაუყოვნებლივ აცნობონ კანტორას თუ ოდესმე მათ გაზეთი არ მიუვია.

## ქართულ ქალთა ამხანაგობის სახელმწიფო სკოლაში

25 მარტიდან იწყება 15 ენკენისთვის  
 ამა წლისა, მიიღებენ მოწვევით 13 წლიდან ეტირე 16 წლამდე. საჭირო ცოდნა მხოლოდ ქართული წერა-კითხვისა.  
 აქვე, 1-ლ ენკენისთვის მიიღებენ შესაკრად კაბებს ქალებისა და ბავშვებისა. აგრეთვე ყოველ გვარ საქერავს: თეთრფულს და ნაქარგს. ვერა გაბაიანი ქუჩა № 3.

**ს. უ. ქართულ ფილანთროპიული საზოგადოების**  
 ს ა მ უ ხ ი კ ო ს კ ო ლ ა

გადავიდა ახალ ბინაზე: სტეპანოვის ქ., ზეინციკის სახლი. № 4.  
 მოწავაზობა მიღება დაიწყო 25 აგვისტოდან,  
 10—2 ს.-მდე დღისით და 5—7 ს.-მდე საღამოთი სკოლის კანტორაში მასწავლებელთა სია: ფორტუბანოს კლასი: მ. გ. ანდრონიკოვა-ციციანოვა, ნ. გ. კალაშნიკოვისა, ე. გ. ქიქოძე, ე. ი. მადაგოვა-პოლტარაცკისა, ე. გ. ფოგელისა, თ. ს. შაბურდია; სკრიპკა: მ. კ. გახილიაძე, პ. ა. თაყაიშვილი; ვიოლინტილი: გ. დ. დიდიშელი; კონტრაბასი: მ. ი. შერშოვი; სიმღერა (სოლო): მ. ა. კოლოტავისა; თეორიის კლასები: ზ. პ. ფალიაშვილი; ხორო: ზ. ი. ჩხიკვაძე; ახლად მოწვეულია ფორტუბანოზე მასწავლებელი. მოსკოვის კონსერვატორია დამთავრებული პროფეს. გოლდენფილდის კლასის თავისუფალი ხელოვანი ე. დ. აბელაშვილისა. მომავალი სამოსწავლო წლიდან სკოლაში დაარსდება სპეციალი კურსი იმ პირთათვის, რომელთაც სურთ შეისწავლონ თავისებურება ქართული მუსიკისა. სწავლის ფასი: ფორტუბ. 70 მანეთი წელიწადში, სკრიპკა—75 მ. ვიოლინტილი—65 მ., კონტრაბასი—50 მ., სიმღერა—100 მ., თეორიის კლასები—15 მ. სწავლის ფასი გადახდება ნახევარი წლობით წინდაწინ.  
 პარაკლისი გადახდილი იქნება 6 სექტემბერს შუადღის 1 საათზე სწავლა დაიწყო 1 სექტემბერს.

**იძლევა ქირით ო. თ. ა. ხ. ი.**  
 მაღალი, ფართი და სინათლიანი ოთახი უკუხნოთ, წყალი ზედ აივანზედ. ვერა, ანანურის შესახვევი № 7. (3—1)

**პირველხარისხიანი სასადილო „კაფე ბოროლი“**  
 მიხეილის პროსპექტზე, № 18 და მიხეილის ქუჩაბანდი № 1.  
 შაშა, ყოველგვარი ცხელ-ცხელი საუზმე დილის 9 საათიდან 12 საათამდე. სადილი 1—6 საათამდე. სადილი 2, 3 და 4 თავიანი. აგრეთვე ჩვენებური საკმელები: ხარჩო, ლომი, საცივი, ნაქაპური, ნაყინი და სხვა და სხვა ხილის წყალო, ცხელი „პიროჟკები“. თეატრად მოსადილეთ შეღავათი ეძლევათ. სადილს ვგზავნით ოჯახებშიც. სასადილო ღია დილის 8 საათიდან საღამოს 11 საათამდე. პატივისცემით რაჟდენ იოხელიანი.

**მეხილეთა ამხანაგობის „ქართლის“**  
 საგანგებო საზოგადო კრება დანიშნული 4. 8. 1915 წ. 14 ენკენისთვის. კრების საგნები: 1) წესდების ზოგიერთ მუხლების გარჩევა; 2) მიმდინარე საქმეები თბილისის მაღაზიის და გორის ხილის საწყობის შესახებ; 3) არჩევა გამგეობის და სარევიზო კომისიისა (1—2)

**გადაწერას საწერ მანქანის**  
 საზოგადოებრივი და საწერ მანქანის მუშაობის სწავლება  
 ხელმისაწვდომ ფასებში ჰქონს რედაქციის ო. თ. გეგითას კანტორა  
 ვერის დადმართი № 1  
 ტელეფონი 17—05

**დოქტორი მედიცინისა**  
 მოსე ანთიმოსის ძე  
 კალანდარიშვილი  
 უმფროსი ექიმი ტფ. კადეტთა კორპუსის ბავშვთა, შინაგან და ქირურგიულ სნეულეობიან ავადმყოფებს: იღებს სოფელ დემსალაშის 5—6 საათ, ოლას ქუჩა, № 3, სახლი მედიკ-ზარინისა.

## დიდი სახალხო სეირნობა

### ქართულ საზოგადოებრივ საზოგადოების სასარგებლოდ

სამშაბათს, 8 სექტემბერს 1915 წ. გაიმართება ხარჭუხის საზოგადოების ბაღში (მიხეილის პროსპექტი, № 131) დიდი სეირნობა სამი საათიდან. სხვა და სხვა გასართობი ბავშვებისთვის და დიდებისთვის. სინემატოგრაფი, ფატი-შვი, ბედნიერების გასაღები, სამხედრო მუსიკა, საზანდარი და ლეკური. მივლი შემოსავალი გადაიდება ქუთაისის გუბერნიის წყალ-დილობისა და მოსახლეობისაგან დაზარალებულთათვის.  
 ფასი ბაღში შესასვლელი ბავშვებისათვის 20 კაპ., დიდებისათვის 30 კაპ.

## უტახის დეკრეტი

**თბილისი, 5 სექტემბერი.** ქვეყნის ჯარის შტაბისგან. 3 სექტემბერს განმარტებაში ხარჯდა იგი. შტაბის პირა ადგილებში. ოლთისის მიმართულებით ხისტოპორისა და ბუზის რაიონში რუსის მხვერავებმა უხელოდ დაათვალიერეს შურვან შინის და შინაგანის რაიონები. ვანის რაიონში რუსის ცხენოსანთა რაზმმა სროლა აუტეხა ოსმალებს სოფ. ვერტონთან და კვერ-რეშის მთასთან. დანარჩენ ფრონტზე ცვლილება არ მომხდარა.

**თბილისი, 6 ენკენისთვის.** ოფიციალი. 4 ენკენ. ზღვის ნაპირზე, ოლთისსა და დუტახის მიმართულებით რუსთა მხვერავები მარჯვედ ირჯებოდნენ. ვანის რაიონში რუსები შეეჯახნენ ქურთების მოხეტიალე ბრძოლს. დანარჩენ ფრონტზე ცვლილება არ მომხდარა.

**კობოლაში, 6 ენკენ.** ოფიციალი. დეკანოვის დასავლეთით ტბიან რაიონში ომი გრძელდება. გერმანელთა მძაფრი იერიში იტყულებს ჩრდილოეთით დიდი ზარალით მოგერებულ იქმნა რუსების მიერ. ძლიერი საარტილერიო ბრძოლის შემდეგ გერმანელებმა დაიპყრეს სოფ. სიუსიკლი ილლუქსტის დასავლეთით რკინის გზაზე. ჩიჩორისა და ოვილეს რაიონში გერმანელთა არტილერიამ ქარიშხლისებური ცეცხლი დააფრქვია იმბროლზე. რუსების თხროლები და მახლოებული ადგილები დაკერილია. გერმანელთა ცხენოსანი ჯარი, რომელიც სცილობდა მდ. დრისვიტის ცხენგამოვლას (ბოგინის ტბის რაიონში) კუარშკისა და კოზიანის შუა უკუგდებულ იქმნა. გერმანელთა რაზმმა სკუდა ხად. მოლოდინის დაჭერა, მაგრამ უკუგდებულ იქმნა. სოფ. სოლისთან ბრძოლის დროს, ნოვოვიდეის-მოლო-

დენოს რკინის გზაზე რუსებმა სოკლიდან გამოსდევნეს გერმანელები. შუა ვილიის ზოგიერთ ადგილას და ქალაქ ვილნოს რაიონში გერმანელთა რაზმები მარცხენა ნაპირზე გადიან. გერმანელთა მრავალ გზით მოტანილი იერიშები ბინიკონ-დიდის დასავლეთით მოგერებულ იქმნა რუსების მიერ დიდი ზარალით. მდ. ლეხედის მარჯვენა რაიონში რამდენიმე კერძო ხასიათის შეტაკება მოხდა. მდ. შარზე, ბრძოლა ხდება მეორე ნაპირზე გადასახვლაზე. პორჩიხისთან, ხლონიის ჩრდილოეთით, რუსთა არტილერიამ ჩამტვრია გერმანელთა მიერ გადებული ნავის ხიდები და მეტი წილი განადგურა. ერთი ნაწილი მეორე ნაპირზე გადმოსვლის დროს ტყვედ შეპყრობილ იქმნა რუსების მიერ. სლონიის სამხრეთით, ფლორინისთან გადმოსულ გერმანელებზე რუსებმა იერიში მიიტანეს, რაზეც საგრძობელი ზარალი მიუყენეს კიდევ. ოგინის არხის სამხრეთ რაიონში გერმანელთა იერიში მოგერებულ იქმნა სოლოვკთან. ხიშით მინატე იერიშზე რუსებმა დიდი ძალი გერმანელი გასწვრიეს. ამ რაიონში ს. ლომიშენი დაჭერილია გერმანელთა მიერ. ნოვოვიდეისთან გამაგრებული გერმანელთა პოზიცია, კოლკის ჩრდილო-აღმოსავლეთით, რუსებმა შეაფიქრეს, საბოლოოდ გასდევნეს კიდევ. დენის დროს რუსებმა ჩააქრეს სტრის ხიდზე გერმანელთა მიერ წაკიდებული ცეცხლი. სოფ. კოლკო რუსების ხელში გადავიდა. მდ. სტუბელის დასავლეთით და დუბნო-კრემუკის ხაზზე რუსები ბევრ ადგილას იერიშზე გადადიან და მრავალი ტყვე მოჰყავთ. სერტის ფრონტზე შეტაკებანი მეტ წილად კერძო ხასიათისა.

## ოგინს ამბები

**შურვალ-გაბათილიან**  
 „რ. უტ.“ იწყება, რომ სახელმწიფო სათათბიროს 3 სექტემბერს სხდომა მხოლოდ ხუთს გავრქელდა. როდესაც თავჯდომარის ამხანაგმა პროტოკოლა დააპირა უმაღლესი ბრძანების გამოცხადება, შრომის ჯგუფის წარმომადგენელი და ესდევნები სწრაფად გავიდნენ დარბაზიდან. სუხანოვა დაიყვირა: „რუსეთი მიჰყიდეს გერმანელებს!“ უმაღლეს ბრძანების გამოქვეყნების შემდეგ გამოჩნდა კერენსკი და ხმა მალა დიდა: „გაუმარჯოს ხალხს! გაუმარჯოს მიხედობას!“ ერთმა მკურებელთაგანმა აიყოლა: „ნუ მიდიხართ, უნდა შევერთდეთ!“ ამის მიქმელი დაიჭირეს.

„რ. ვ.“ იწყება, რომ სახელმწიფო სათათბიროს დათხოვის შემდეგ კერძო სათათბირო მოხდა. გოლდენი წინადადება იძლევა დაავალონ რომიანკოს რათა იგი

წარუდგეს ხელმწიფის იმის მოსალაპარაკებლად, თუ რატომ მსურთ დეპუტატებს სათათბიროს მუშაობის გაგრძელება. კერენსკი მოუწოდებს დეპუტატებს თვითონ სახელმწიფოს მოუწოდოთ ჩვენი მხარის დასატყუარდ. შრომის ჯგუფის წარმომადგენელი და ესდევნები სტოვებენ კრებას. კამათის დროს გამოიჩინა, რომ რომიანკო გამოსთხოვს აუდენციის, რათა მოახსენოს სათათბიროს მუშაობისა და დღევანდელ მდგომარეობის შესახებ. პროგრესული პარტიათა უმრავლესობამ გადასწყვიტა პეტროგრადიდან არ წავიდნენ.

„რ. ს.“ მინსკიდან ატყობინებენ, რომ რაც გერმანელები მოიწვევენ, ვილნოდან იმდენად უფრო მეტი მცხოვრებნი გარბიანო. 27 აგვ. ტაუბე დაფინანსდა ვილნოს თავზე და კუმბარებს ისროდა.

„რ. სლ.“ ატყობინებენ, რომ რივიდან გააქვთ ტრამვის ვაგონები. ვაგონებს პეტროგრადაში ჰგზავნიან.

ბურცევი ტვერში გაემგზავრა საცხოვრებლად.

„რ. ს.“ სიტყვით ქალაქ მინსკში შიმშილობა ჩამოვარდნილა. ასევე არ შემოადის შაქარი. მიზეზი ისაა, რომ მინსკს აუარებელი ხალხი მოაწყდა და შემოაქვით კი იმდენი არაფერი შემოაქვით. ფურნებისა და საწყობების გარშემო აუარებელი ხალხი იყრის თავს. ზოგიერთი საბაჟლოს წინ პოლიცია უდგება სათავეში, რომ როგორც ჩააყენოს ხალხი. ქუჩაში მწყრივად დამდგარი მყიდველი თითქმის დღე და ღამეს ასწორებენ ცის ქვეშ.

უნგრეთის ყოფილი მინისტრი ანდროში ერთ საფურნალო წერილში ურჩევს ავსტრია-გერმანეთს სეპარატიულ ზავზე აიძულოს ერთ-ერთი მოწინააღმდეგეთაგანი. ანდროში ამბობს, არც გერმანია და არც ავსტრია არ ფიქრობდა თავდასხმის, მაგრამ რაღა ერთხელ ორთავეს ხმალი ქარქაშიდან ამოაღებინეს, ამოწვდილი ხმალი ქარქაში არ უნდა ჩავგოს, ვიდრე ბოლო არ მოეგება ავსტრია-გერმანიის შეკრულ ბლოკს, ვიდრე ბოლო არ მოეგება ქვეყნის დაყოფას ორ ერთი მეორის მოპირდაპირე ბანაკადო. ანდროშის აზრით დღევანდელი მსოფლიო ომი დაატრიალა სამამ მოწინააღმდეგე ერებში: საფრანგეთ-გერმანიის, ინგლის-გერმანიის და მოსკოვ-დასავლეთის წინააღმდეგობაში. რაც შეეხება პირველს, ანდროშის აზრით გერმანიის არავითარი ბრალი არ მიუძღვის, რადგანაც იგი მუდამ იმ

ცდაში იყო, რომ საფრანგეთთან როგორმე კეთილი განწყობილება დამეკვიდრებინა. დღევანდელი ომი ამ პირობებს ასე თუ ისე გადაჭრის.

რაც შეეხება ინგლის-გერმანიის წინააღმდეგობას, გერმანია იბრძვის, რომ თავი განითავისუფლოს ინგლისის ბატონობისგან, და პირველ ხარისხიდან სახელმწიფოდ გარდაიქცეს. ეს პრობლემაც გერმანიის სასარგებლოდ უნდა გადასჭრას დღევანდელი ომით, გერმანიას უნდა მიეცეს თავისუფალი განვითარების პირობები. რაც შეეხება მოსკოვ-დასავლეთის წინააღმდეგობას, ანდროში ამბობს, მტკიცე ზავი მხოლოდ იმ პირობით შეიძლება დამყარდეს, თუ რუსეთი ხელს აიღებს დასავლეთისკენ ტერიტორიის გაფართოებაზე.

რუსი მოწყალების დები.

ბერლინიდან იუწყებიან, გერმანიის დელეგაციამ მიიღო რუსეთის წითელი ჯვრის სამი მოწყალების დოკუმენტი, რომელთაც ნება დართეს ბანაკში ინახულონ რუსი ტყვეები.

გალიციელი ებრაელები.

კიევი გალიციაში გაგზავნეს 37 ვაგონი, სადა გალიციელი ებრაელები, რომლებიც თავის დროზე გალიციიდან წამოასხეს და რომელთაც ეს უკან აბრუნებენ.

რიგაში.

ამ უკანასკნელ დღეებში გერმანიის ჰაერობრუნები ყოველ დღე მოდიან რიგაში და ყუმბარებს ჰყრიან.

30 აგვისტოს ქალაქში ისმოდა ხარბანის ხმა ზღვის ნაპირადღვივებთან. ძლიერი სროლა ისმოდა საღამო ჟამს.

ოსმელეთ-ბულგარეთის შეთანხმება.

ოსმალეთსა და ბულგარეთის შეთანხმება-გათავებული საქმეა. სარწმუნო წყაროების ცნობებით ოსმალეთმა ამ დღეებში ოფიციალურად უნდა ჩააბაროს ბულგარეთის ის ტერიტორია რომელიც დაუთმო მდ. მარცხსა და დედნეაგანის რკინის გზის გაყოფაზე. ბულგარეთის ხელში სულ გადადის ოსმალეთის ტერიტორიის 1.500 ოთხკუთხედი კილომეტრი.

დღევანდელი მდგომარეობა

სახელმ. სათათბიროს დათხოვნა დიდი ღირსშესანიშნავი მოვლენაა რუსეთის მიმდინარე პოლიტიკურ ცხოვრებაში. რუსეთის საზოგადოებრივი აზრი აღტაცებით მიეგება სახელმ. სათათბიროს მოწვევას ამ თენახვერის წინა და დიდის სასოებით უყურებდა მის მოქმედებას. ამ არაჩვეულებრივად გართულებულ მდგომარეობაში, ხალხის წარმომადგენელთა შეკრებულად ყოფნას და მთავრობასთან თანამშრომლობას დიდი მორალური გავლენა ჰქონდა მთელს რუსეთზე. საკანონმდებლო დაწესებულების მოქმედება იმდენ რაღაცას აძლევდა წვედებებსა და სასოწარკვეთილებას ჩაეარდნოდ საზოგადოებას. თვე-ნახევრის შემდეგ, სახელმწიფო სათათბიროს მუშაობა დროებით შეწყდა. ერთი დიდი დამამიდებელი და დამამშვიდებელი ფაქტორი რუსეთის საზოგადოებას დროებით ხელიდან გამოეცალა და რა ვასაკვირალა რომ მთელი რუსული პრესა და რუსეთის პოლიტიკური მოღვაწენი გულსტრკივით შეხედდნენ სათათბიროს მუშაობის შეწყვეტას.

საგადასწარმო ნაქლი

არც ერთი ქართველი არა სდგას თავის მოვალეობის ფიზიკურ დარჯად, არც ერთი ქართველი საზოგადოება, თუ დაწესებულება თავის დანიშნულებას არ ემსახურება გატაცებით, ენერგიულ სი-

ყვარულით. ყველაფერი და ყოველივე მიდის ზოზნიით, მექანიკურად, ინერციის წყალობით. არა სჩანს მზრუნველი გონება, მტკიცე ნების ყოფა, მომქმედებელი ჯგუფი! თუ საზოგადოებრივი და დასავლეთის ასეთი მდგომარეობა და ქართველის სულის ასეთი აპატია და უნიკალიზა, დღეს, როდესაც გარემოებათა სირთულე და გამანადგურებელი ვითარება ქვეყანას წაშლენელ მუქარად თავს წასდგომია, დღეს, როდესაც ძველი ნიადაგი რღვევის პროცესშია, და ახალისა არც ბუნდოვანი კიდური მოსჩანს, აი ასეთი განსაკუთრებული დროში სულიერი აპატია და საერთო უილაჯობა ერთი ასად სამწუხაროა და დამღუპველი!

საუკუნეების განმავლობაში დაკარგულ მოძებებს დღეს თითქმის ვუახლოვდებით. მიუძღვინით თბილ-თბილი სიტყვები ომისგან აოხრებულ მამადაინ ქართველებს, დაზინებულს ნაბიჯით ფეხიც-კი შეესდგით დარბეული აჭარისა და კლარჯეთის უპატრონოდ დატოვებულ სახლ-კარში. უბედობის დღეს მოძმეთა ნასახლკარევი მოვიხანხულეთ. ცოტა რომ დახმარებაც აღმოუჩინეთ.

თითქმის წარსულში ჩადენილი დანაშაულობა გამოსწორების გზას დაადგავს, თითქმის ამოქმედდა ეროვნული შეგნება და გამოიღვიძლა მიფერფლილმა გრძობამ! სულიერი დაახლოვება, მორალური საინალოება მოძმე მამადაინ ქართველებთან, მოსიარულე სიტყვებად გადიქცა და ყველას პირზე აკერიდა მისალოდნელი იყო, რომ გამოეზიზნებინა გზას დამდგარი ქართველობა საქმით დაამტკიცებდა მამულიშვილურ გრძობას მამადაინ ქართველებისადმი, რომ განათლების ერთ-ორ სანთურს მაინც აუნთებდა ჩვენივე მოხელე, ჩვენზედ უფრო შეუგნებელ აჭარლებს, მიუტანდა ქართულ წიგნს და სწავლას პატარა მამადაინ ქართველებს და რომ ქართულ წერა-კითხვასთან ერთად შეეცვა-რებდა ქართველთა სამშობლოს, ქართულ წარსულს, ქართულ აწმყვს; მოსალოდნელი იყო, რომ ქრისტიანი ქართველობა პატარა მამადაინ ქართველებს სკოლას გაუმართავდა და ამ სკოლაში, სხვათა შორის, შეგნებულ მოღვაწე მოუყვანდა; მოსალოდნელი იყო, რომ ქრისტიანი ქართველი მამადაინ რჯულსაც შეეცვა-რებდა და შესწავლიდა პაწია მოზარდ მამადაინ ქართველს; მოსალოდნელი იყო, რომ ამ ვით, ამ ერთადერთ რა-ციონალ გზით ივლიდა, ქრისტიცი და მამადაინ რჯულის ქართველობა საერთო სამშობლოს სინდელი მომადგომის განსამტკიცებლად... მაგრამ არამც თუ ახალი სკოლის გახსნა, არამც თუ ახალი სანთურის ანთება მამადაინ ქართველთა შუაგულში, არამედ ძველიც, მათგან მო-შორებით მშუტუაფიც, ჩავაქრეთ, ჩავანე-ლეთ! თი მაგარი სწორედ ეს არის!

ბათუმის ოლქში, მამადაინ ქართველთა სამკვიდრებელში, ერთადერთი სკოლა იყო, ქართველი საზოგადოების კვრძო ინიციატივით გახსნილი, სკოლა ქ. შ. წერა-კითხვის გამავრცელებელი საზოგადოებისა. ეს სკოლა თვით ქალაქ ბათუმში გახლდათ და დღეს იგი აღარ არსებობს. მისთვის სიტუაცულ მოუპაი ქართველ კაცის საზოგადოებრივ უილა-ჯობას და ეროვნულ მოქმედების უზად-რუკობას. ჩვენი ბათომელი კორესპონ-დენტო ასე ავიწყრს სკოლის დაქტევის ისტორიას:

ფრიად სამწუხაროა ქ. შ. წ. კ. გ. საზოგადოების სკოლის დაქტევა. სკოლის მესვეურნი თავს იმით იმართლებენ, რომ ამისათვის შესაფერი შენობა არ აქვთ და ის, რომელიც ჰქონდათ, ქალაქს საავადმყოფოდ აქვს გადაქცეული, ამასთანავე უსახსრობასაც სჩივიან. ასეთი მიზეზების წამოყენება დიდ გაუგებრობას ჰბადებს საზოგადოებაში. ჯერ ერთი, ქალაქი ვალდებულია სამაგიერო, შესაფერი სადგომი მოუწახვოს სკოლას და რამდენადაც ვიცით მზად არის კიდევ ასეთი მოთხოვნილება ქ. შ. წ. კ. გ. დააკმაყოფილოს. რაც შეეხება უსახსრობას—ეს საკითხი მართლაც ჩასაფიქრებელია, მაგრამ თუ სკოლის მესვეურნი უბრალო ექიანობაზედ ხელს აიღებენ და მეტ მეცადინეობას გამოიჩინენ—ფულიც იშოვება. საქმე ისაა, რომ დღევანდელ პირობებში—ამ სკოლის დროებით დაქტევის ცუდი შედეგი მოჰყვება. ეს ერთად ერთი სკოლაა, სადაც ჩვენი საზოგადოება ფართოდ გაუღებს კარებს ქართველ მამადაინათა შვილებს,

დღეს მათ და ჩვენს შორის ურთიერთობა შესაძინევად

შეიცვალა, დამკვიდრა სოლიდარობა, ძმობა და ერთობა და ასეთი დამოკიდებულების შესანარჩუნებლად საჭიროა ისეთი შემავრთველი კულტურული საშუალებანი, როგორც არის ქართული სკოლა, ქართული თეატრი და სხვა ამგვარი საშუალებანი.—ამ გარემოებას მოგლეა დიდი ყურადღე-ბა მიაქციოს თვით თბილისის ქ. შ. წ. კ. გ. მთავარმა გამგებამ და შეცდომის გზაზედ დამდგარ ბათუმის განყოფილებას წინაბრძოლი და მატერიალი დახმარება აღმოუჩინოს. ასეთს დროს ქართული სკოლის დაქტევა—პირდაპირ-ოლატია ქართულ ინტერესებისათვის“.

კომენტარები მეტია. ყოველ წვეწომალში მოსჩანს ჩვენი ხასიათის ძირითადი ნაკლი: უდისციპლი-ნობა მოქმედებაში, უდისციპლინობა იდეათა სფეროში, უდისციპლინობა ნებისყოფაში. აქ მარხია ჩვენი ეროვნული ვი და უბედურობა!

მომავლის გულისათვის გავწყვიტოთ კავშირი ამ დამღუპველ ტრადიციასთან და ბედის გამოსაქედად აღვიჭურვოთ ურყევი ეროვნული ნებისყოფით და მტკიცე მომქმედი ეროვნული იდეით!

კესტროგრაფი (სკუთარი კორესპონდენტისგან)

III

სათათბიროს ითხოვნა.

ამ საღამოს ხმა გავრცელდა, რომ სათათბიროს ითხოვნა. როდესაც ეს წერილი დანიშნულსამებრ მივა, შეიძლება იგი უკვე დათხოვნილი იქნებოდა. ამ ამბავმა აქ დიდი შთაბეჭდილება იქონია, როგორც სახელმწიფო სათათბიროს წევრებზედ, ისე ფართო საზოგადოებაზე.

არავის არ სჯერა, იმ მეტად სერიოზულ დროში, როგორსაც დღეს რუსეთი განიცდის, მთავრობამ ისეთი საშიში მარცხი ჩადინოს, როგორც სათათბიროს დათხოვნა.

ისეთი შემოჯვენე დამუტატი, როგორც კრკაქსტია, ისიც კი მიხვდა, სათათბიროს დათხოვნა დღეს მოუხერხებელიაო.

მე არას ვამბობ ვრად ბობრინსკიზედ, რომელიც დიდ პოლიტიკურ მეცდომად სივლის მთავრობის ამ ნაბიჯს.

არაინ ისეთებიც, რომელნიც გორემი-კინის პიროვნებასთან აკავშირებენ ამ პოლიტიკურ აქტს: როგორც იციო იგი ხელმწიფის სადგომში იყო დღე მნიშვნელოვან საქმის გადასაწყვეტად და ეს საქმე გამოდგა სათათბიროს დათხოვნა.

მაგრამ ორივე შემთხვევაში ეს ფაქტი ფრად მეტყველი არის იმ პოლიტიკის ასახსნელად, რომელსაც დღეს მთავრობა მისდევს. დღემდის, ოპტიმისტურად გაწყობილი ადამიანი ფიქრობდა, რომ მთავრობა ძველ გზას იტყვის და მარცხით იწვევს; ფიქრობდნენ სა-მინისტროს ახალ შემადგენლობაზედ, ასახელებდნენ კიდევ გუშ-კოვ-მილიუკოვის კაბინეტს და ხან და ხან პასუხის მგებელ სამინისტროზედაც წაილაპარაკებდნენ, დღეს ეს ოცნებანი უკვე გაქარწყლდა. სჩანს, არავითარი ცვლილებანი აღარ მოხდება და მთავრობაც ძველად გაკვლეულ გზით ივლის.

და თუ შედეგობაში მივიღებთ, რომ ძირითადი კანონების 87 მუხლის ძალით მას შეუძლია თავისუფლად გაატაროს ყველა რეფორმები, როდესაც სათათბირო თავის მოვალეობისგან განთავისუფლებულია, მაშინ ნათლად დავინახავთ თუ საით იხრის მთავრობის პოლიტიკა. დღევანდელი მისი ნაბიჯი არ ახალია ძველია. ყოველთვის, როდესაც სათათბირო მძლავრად ამოიღებდა ხმას, მთავრობა არსებობას უსწრაფავდა.

ესე მოხდა დღესაც. სათათბირომ რამდენადმე მაინც მედ-გრად აღიარა ის გულის ნადები, ხალხის გულში დიდი ხანია აღმოიხექას რომ ლამობდა. მან გამოაშკარავე ძველი ბო-ბოლების ბოროტ-მოქმედება და აი კი-დეც შეუწყვიტეს ხმა. ჩვენ შორს ვართ იმ აზრისაგან, რომ სათათბიროს დღე-დღე შემაღდენლობას ხალხის ბედის-ტრიალი შეეძლოს, ან დიდ საკანონმდებ-ლო მუშაობის შემძლე იყოს; ყველა-სათვის უკვე ცხადია, რომ იგი შეუძლოა ყოფილა იმ მისიის შესრულებაში, რომელიც მას ბედმა არგუნა, რადგან ჯერო-ვანად ვერ ისარგებლა ხელსაყრელი მო-მენტით და სრულიად მოუშუადებლად შეხვდა იმ პასუხსაგებ მუშაობას, რომე-

ლიც მას წილად ხვდა, მაგრამ დღეს ის ერთად ერთი დაწესებულება საიდგანაც გაისმის ხმა და რომლის საშუალებით ხალხში საჯაროდ აღიარებს თავის პირსა და ვარაშს.

ლ. ჯ. ძე.

პეტროგრადი 1 სექტემბერი.

უკველი ხალხი და რკვი

— რაო, როდის იხსენება ჩვენი თეატრის სეზონი?—ვიხებე ერთს ჩვენს მსახიობთაგანს. ვიღრე პასუხს მივიღებდი, შევავლე თუ არა სახეზე თვალი, მაშინვე მიფხვდით, რის თქმაც უნდოდა, პასუხისთვის აღარ მომიძრა და სწრაფად გავშორდი; ვიცოდი, ქვირე ქალსავით ამიუწყუნდებოდა და ახლანდელ დროში, მოგესხენებთ, ისედაც ხმაურობით დასუსტებულ ნერვებს სენტიმენტალთა ლამენტაცია ბევრი ვერაფერი საღმუნება იქნებოდა. ასეთ ლამენტაციისთვის კი მათ აქვთ საბაბი, ან და რატომაც არ ექნებოთ. რა არის, რომელი დარგია ჩვენში ისე მიგდებული, როგორც იტყვიან ხოლმე, ღვთის ანბარად დატოვებული, როგორც ჩვენი მელომენე: ვინ ზრუნავს მისთვის? ვინ იცხლებს თავს? არავინ! მართალია, სეზონის დამლევს ბრავა-ბრუე იყო, სიტყვების ფრქვევა, თითქმის აღნიშნეს კიდევ სადგომი, სადაც რკვიანად წაივლიდა წარმოდგენე-ბის საქმე, მაგრამ დაიხურა კრებები და დაიხურა მელომენეს ბედის კარბი: მას შემდეგ აღარავინ არასფერს ცდილა. დარბისლურ ღღმილს განავრძობს ჩვენი დრამატული საზოგადოებაც, თითქმის ეს საკითხი მისთვის არც კი არსებობ-დეს. ჩვენი ცხოვრებისთვის კი თეატრი ერთი მთავარი საკითხია. ასეთი ინდიფერენტობით ჩვენ ვკარგავთ ყოველ იმას, რაც ზველმა თაობამ აკეთა, მსახიობნი გავგექცვიან. ყოველ შემთხვევაში მათ მოუფსპობთ წარმატების უნარს, თვით საზოგადოებაც უკანასკნელ სიყვარულის ნამცეცხას კი დაჰკარ-გავს, რაც მას თეატრისადმი ჰქონია. ნუ მოყრებენ თავს, თითქმის დღეს, როგორც საზოგადო გაჭირვების დროს, თეატრისთვის აღარ გვცხელდეს, გროშს უნდა ვუფრობილდებოდეთ, რომ ყოველ წუთისა და მოსალოდნელისთვის მზად ვიყოთ. გული და გრძნობა ხვალისას არას დავიდგვს. დღესაც ჩვენი ხალხი ლომად აწყდება კინემა-პალა-ტებს, ცირკში ხომ ტევა არ არის ხოლ-მე. ჩვენი არისუკარტა კიდევ უნებურად სახაზინისა და საატრისტო საზო-გადოების თეატრს მაშინათვეს და ისე კი არ დარჩება. მაშასადამე, ნივთი-ერი საკითხი აქ მოსატანი არ არ-ის, ხალხი თავის გულის მურაზს აისრუ-ლებს და ჩვენ მოგებთ კი იმას მოვი-გეთა, რომ მელომენეს არსებობის ნია-დაც ვუტკობთ. რა თქმა უნდა, მთელი ამ ბოროტ მოვლენის საკითხი დაკავში-რებულია ჩვენი თეატრის დაკარგვასთან. საჭიროა, მის აგებნე მეტი მზრუნველ-ობა გამოვიჩინოთ, რაც ხანგრძლივ მუ-შაობას მოითხოვს, მაგრამ ეს კიდევ სა-ბუთს არ გვაძლევს, რომ დღეს გულ-ხე-ლი დაეკრიბოთ და სეზონის დაწყებაზე არ ვიზრუნოთ. დრამატული საზოგადო-ებამ მოვალეა ამ საკითხს სწრაფი ან-გარიში გაუწიოს, ყოველი ღონე ილო-ნოს, გაფანტულ და უსაქმრობით სახე-ჩამოტრეხულ მსახიობთ მოუყაროს თავი და ამოქმედოს. სრული აპატია ასეთი მომენტში ასეთი მნიშვნელოვანი საკითხის წინ სპარალმდებელი ოქმა გვიდგენს და მოითხოვს ჯეოვან პასუხს.

კართალი.

და თავის წევრებს შორის შეტანოს ჩვენ გადავალბა-მეტი შექმნეთ სახარებ-ლოდ.

— თავჯდომარის არჩევა. 6 სექტემბერს, გორაკი ურულის თავჯდომარეობით, შესდგა საგანგებო კრება სასოფლო სამეურნეო ბანკის წევრთა, რომელთაც ბანკის თავჯდომარე უნდა აერჩიათ, კანდიდატად დაასახელეს მხოლოდ ერთი ვ. რ. ყიფიანი, რომელმაც გადაჭრილი უარი განაცხადა თავჯდომარეობაზე. მაგრამ კრება არ მოეწეა მას და ბევრი ხვეწნა-მუდარის შემდეგ იგი ერთხმად, კენჭის უყრელად, არჩეულ იქნა ბანკის თავჯდომარედ.

— საქართველოს ეგზარხოსი. მაღალ ყოვლად უსამღვდელოესი პიტრიმი, დღეს, 8 სექტემბერს, სწირავს დიდუბის ეკლესიაში.

— ქართულ კულტურის მოყვარულთა საზოგადოების საბჭოს პირველი კრება (ზაფხულის შემდეგ) 6 ენკენისთვის გაიმართა. შემუშავდა საზოგადოების საამწულო მოქმედების გეგმა. საბოლოოდ გამოირკვა საკითხი წალვერში აგარაკის აშენებისა, ქართველ მოღვაწეთათვის (გუა-ფშველს სახეზე) საზოგადოების პირველი საჯარო კრება გაიმართება შაბათს, 12 ენკენისთვის. კრებამ ბ-ნი ი. ვართაგავა წაიკითხეს ვრცელ მოხსენებას ვაჟა-ფშაველას პოეზიის შესახებ. წაითხეს შემდეგ ეს მოხსენება საბჭოს დადგენილებით დაბეჭდილ იქნება, წიგნაკის მთელი შემოსავალი გადაიღება აგარაკის ასაშენებლად. საზოგადოების საბჭომ უკვე მოაწყო კანკლარია თავჯდომარის, გ. ყორ-დანის ბინაზე (სასამართლოს ქუჩა, № 26). კანკლარია დია იქნება ყოველ დღე დღის 10—12 საათამდე, საქმის მწარმოებლად მოწვეულია ახალგაზრდა პოეტი გ. ქუჩიშვილი.

— ვერის პარკის გაუმჯობესება. წლე-ვანდელმა წყალდიდობამ ვერის პარკიც შესამჩნევად ააოხრა და მისი მოწყობა საჭირო დარჩა. ამ დღეებში ქალაქის გამგეობამ მიანდო ქალაქის სახელმწიფო გამგე ინჟინერ ლ. ნ. დიასამიძეს, შედგინოს პროექტი პარკის შეკეთებისა და თითონვე განახორციელოს იგი. ბ-მა დიასამიძემ უკვე დაათვალიერა პარკი და მისის აზრით საჭიროა: 1) აშენდეს ბეტონის კედელი, რომელმაც წყალდიდობის დროს პარკი უნდა დიფაროს წყლისგან; 2) გაკეთდეს ხელოვნური უბუნ ნაპირის საცურავი და ტანის სახანად; 3) გაკეთდეს ვერის მდინარეზე ხიდი; 4) გაყვანილ იქნას ვერის მდინარედან პარკამდე გზატკეცილი. პროექტის განხორციელებისათვის საჭიროა 50 ათას მანეთამდე. ქალაქის გამგეობამ თუ ეს ფული გამოეტა, მუშაობა ჩქარა დაიწყება.

— რვეზია. ქ. შ. წ. კ. გ. საზოგადოების მდივანი ვ. ბურჯანაძე და გამგეობის წევრი გ. ლასხვილი გუშინ, 7 ივლისს, კავკას წავიდნენ საზოგადოების იქაურ განყოფილების სარევიზოდ.

— საკვების შექმნა. კახეთის რამდენიმე სოფლის მინდობილობით პურის სასყიდლად რუსეთში იყო წასული თე-ლავის შემწახველ-გამსესებელ ამხანაგობის თავმჯდომარე დავით პეტრეს ძე ლუკაშვილი, მას უყიდნია თურგისა და ყუბანის ოლქში და მდინარე ვოლგაზე 210.000 ფუთი ხორბალი და 117.000 ფუთი ფქვილი. თბილისში მოტანილი 1 ფუთი ხორბალი ჯდება 6—7 აბაზი, ხოლო ფქვილი ჯდება 6—8 აბაზი. ბ-ნს ლუკაშვილს ამასთანავე პირობა შეუქრავს გამოიღვედნენ, რომ შემდგომ რამდენსაც მოსთხოვს ფქვილს ანუ ხორბალს, ამავე პირობებით უნდა მიჰყიდონ.

— თათბირი მოუსავლობის გამო. 6 სექტემბერს ქალაქ გორში კრება შესდგა 25 საკომპარტივო დაწესებულების წარმომადგენელთა. კრებამ თავმჯდომარეობა წვრილ საკრებლთა ამხანაგობათა ინსტრუქტორი ბ-ნი გრიგოლია. კრების საგანს, როგორც წინა დ ვწერდით, შეადგენდა მოუსავლობის რაოდენობის გამოკვება და გამოიქმნა საშუალების სათესლე ხორბლის, და საკვების შესაძინად. კრებამდე გამოირკვა, რომ საჭირო ფულს იძლევა სესხად სახელმწიფო ბანკი, ხოლო მოსკოვის სახალხო ბანკი იძლევა 100 ათას მანეთს. სათესლე და საკვების მასალის შექმნა კრებამ მიანდო გორის შემწახველ-გამსესებელ ამხანაგობის გამგეობას, რომლებიც სხვა ხუთ ამხანაგობის წარმომადგენლებთან ერთად იმოქმედებენ. ბ-ნ ლ. პ. ლუკაშვილის ჩვენებით, იმ დღესვე დაიბარეს ჩრდილო-კავკასიიდან 25.000 ფუთი ხორბალი და შემდეგშიაც შეუძ-

ახალი ამბავი

— დიდი საქველმოქმედო სეირნობა. დღეს ხარფურის კლუბი დიდს სეირნობას მართავს ქართულ საქველმოქმედო საზოგადოების სახარებლოდ. ამ ბოლო დროს ჩვენს ტანჯულს ქვეყნას იმდენი პირი მოევიდნა, გაჭირვებულია დახმარება ისეთს აუცილებელს საჭიროებას შეადგენს, რომ იმდელი, ერთი ქართველიც არ დარჩება, რომ დღევანდელს სეირნობას არ დაეწროს.

ლიანთ დაიბარონ ფქვილი ანუ ხორბალი ხელსაყრელ ფასებში.

შაბიამანი და გოგირდი. თელავის შემნახველ-გამსესხებელ ამხანაგობის თავჯდომარემ დ. პ. ლუკაშვილმა შეუკვეთა მოსკოვის სახალხო ბანკს კახეთის რამდენიმე სოფლისათვის 25,000 ფუთი შაბიამანი და ამდენივე გოგირდი.

ღვინით ვაჭრობა. რადგან პირველი რიგის მოლაშქრეთა გაწვევა და გაგზავნა დასრულდა, 6 სექტემბერს ბ-მა პოლიცემისტრმა ნებართვა გამოცა ღვინით ვაჭრობისა.

გამოქცეული სომხები. სომხურ საქველმოქმედო საზოგადოების თავმჯდომარე ბ-ნი არუთინოვი ღვინით ატბინებს ბ-ნს ხატისოვს, რომ დილიდან 2,000 გამოქცეული სომხია თავმოყრილი. მათ შორის ყოველგვარმა სენმა იჩინა თავი, რომელიც საშიშროებას წარმოადგენს ადგილობრივ მკვიდრთათვისაო. ამიტომ ბ-ნი არუთინოვი დახმარებას თხოულობს ქალაქების კავშირისაგან.

ხოლერა. 5 და 6 სექტემბერს ქალაქის ლაზარეთში მოიყვანეს ხოლერიანი 15 და ხოლერის ნიშნებით 13 კაცი. გარდაიცვალა ხოლერიანი 9 კაცი. გუშინ ლაზარეთში იმყოფებოდნენ ხოლერიანი 160 და ხოლერის ნიშნებით 15 კაცი.

გადმოხვეწილი სომხები, რომლებიც თბილისში დაბინავებული იყვნენ საბურთალოზე, გოლდლიუსტის შენობაში, ვანქის ეკლესიის შენობებში და სხვა კერძო სახლებში, ადმინისტრაციის განკარგულებით გაგზავნილ იქმნენ თავშესაფარებად ვანჯის გუბერნიაში. გაგზავნილთა რიცხვი 1,200 კაცამდე იქნება.

მომხმარებელ საზოგადოების „ალორძინების“ გამგეობის კრებამ დაადგინა შემდეგი: 1) რადგანაც ახლო მომავალში საზოგადოება აპირებს სავაჭროს გახსნას, ამისათვის შაქრის სასყიდლად გადასდო 500 მან. 2) კომისიას მიეცა უფლება განაცხადოს თბილისის მომხმარებელ საზოგადოებების ბიუროში, რომ საზოგადოებას შეუძლიან წარადგინოს შაქრის დასაკვეთად ბე ხუთას მანათამდის. 3) სავაჭროდ საჭირო საქონლის შესაძენად შეუერთდეს თბილისში არსებულ მომხმარებელთა საზოგადოებათა მდიველთა ბიუროს. 4) რადგანაც ვაჭრობის ქუჩაზე სავაჭროდ შესაფერი შენობა ვერ იშოვნეს, ამისათვის კრებამ გადასწყვიტა სავაჭრო გახსნას ტამოქნის ქუჩაზე ნაძალადევის ხიდიდან გადმოსავლეთან ან საქონლის სადგურთან. 5) საზოგადოების სავაჭროს უმფროს ნოქრად ერთხმად მიღებულ იქმნა ბ-ნი ხელაძე, უმცროსი ნოქრისა და დახლიდარი—ქალის მიღება გადაიდო შემდეგისათვის.

შუთაისი.

ქუთაისის გუბერნატორმა კამერ-იუნკერმა ბ-ნმა პოტულოვმა ნება დართო ქუთაისის გუბერნიის თავდა-აზნაურთა წინამძღოლს თ-დს დავით ოტას ძე ნიჟარაძეს, მოიწვიოს 20 სექტემბერს არაჩვეულებრივი კრება შემდეგი კითხვების განსახილველად: 1) კავკასიის ერობის საკითხის შესახებ. 2) პროტესტი ფინანსთა სამინისტროს წარმომადგენლისა ქუთაისის სთავად-აზნაურო საადგილ-მამულო მიხეილის ბანკის მიმართ, რომ ქუთაისის გუბერნიის თავდა-აზნაურთა წინამძღოლის თ-დ. დ. ო. ნიჟარაძეს განსახილველ თანხას აძლევდნენ. 3) პროტესტი ამავე წარმომადგენლისა შესახებ იმისა, რომ ხსენებული ბანკი სააზნაურო გინაზის საპენსიო კასიდან ფულს აძლევს იმ მიზნით, რომ საპენსიო კასას ეს ფული დაუბრუნდეს ბანკის ძირითადი თანხიდან.

15 სექტემბერს ქუთაისში გამოვა ახალი ყოველდღიური გაზეთი „მეგობარი“. (სამშობლო).

საქართველო

წლის დამლევამდე ღირს 4 მ.; 1 ოქტომბრამდე—2 მ. 25 კ.; ერთი თვით—90 კ. ფოსტის ადრესი: თბილისი, მოსკოვის ქუჩა, 4. ფოსტის ყუთი 76.

წერილები ქართველ სამღვდელთაგან ჭირ-უარამზე

სამღვდელთაგან გადგარებულ და მათი გონებითი სიკოტრე

ყველ-მღალადებელნი ლავრა-უღანბონი დაკარგულდნენ, დამუნჯდნენ; შესწყდა სიველესიო კათედრებიდან მღვდელთა მთავრების ლაღისი და ქადაგებანი; დაჭურსდნენ ტაძარნი ხმატკბილ მგალობელთა გუნდების მოწყვეტით, და ყველა ამას კი შედეგად მოჰყვა ქართველ სამღვდელთაგან სწავლა-აღზრდის საქმის დაცემა.

მოვიგონოთ, რომ ძველ საქართველოში სწავლა-აღზრდის საქმე სასულიერო და საერო წოდებისა იყო ქათალიკოზის გამგეობის ქვეშ. როცა საქართველოს მესვეური ქათალიკოზი მოეპო, მასთან ერთად გაჰქრნენ თელავ-თბილისის სემინარიები, გარეჯის საღვთისმეტყველო კურსები, ეკლესიებსა და მონასტრებთან არსებული შკოლებიც.

იმ დროიდან დღევანდლამდე ქართველ მღვდელს მოსპობილი აქვს საშუალება სასწავლებლებში შეისწავლოს სამღრთო რჯული თავის სამშობლო ენაზე, თავისი ეკლესიის ისტორია, საღვთისმეტყველო ლიტერატურა და ამ ნაკლს იგი ვეღარც ცხოვრებაში გამოცვლის დროს იხსებს. ამგვარმა არაბუნებრივმა აღზრდამ ქართველ სამღვდელთა პირს გაუჭრო სიყვარული ქართველ წმინდანებისა, სარწმუნოებისა, სამშობლო ეკლესიისა და თვით საწყმოსოადმიც.

საქართველო

წლის დამლევამდე ღირს 4 მ.; 1 ოქტომბრამდე—2 მ. 25 კ.; ერთი თვით—90 კ. ფოსტის ადრესი: თბილისი, მოსკოვის ქუჩა, 4. ფოსტის ყუთი 76.

რეტ-მგზნებარე და გაუნელებელი კერა, რომელიც გვიზრდიდა მოძღვრებს, მამულისა და ეკლესიისათვის თავგანწირულ მწყემსმთავრებს და გვაწვდიდა უღალავად გმირებს გარეშე მტრებთან საბრძოლველად.

მეტყობთე საუკუნის ნახევარმა ასე გაილოლილა და რუსეთმაც დასავლეთ ევროპის მიხედვით დაიწყო განათლების მსვლელობა, სასწავლებლების უკეთესად მოწყობა და საგნებ-მეცნიერების სწავლის გაფართოება. ქართველი სასულიერო წოდებაც ძლიერ დაეწაფა სასულიერო სასწავლებლებ-სემინარიებს. დაიწყო აგრედვე მეორე სემენარიის დასაარსებლად შუამდგომლობა და გახსნეს კიდევ იგი ქ. ქუთაისში.

ღიეს თბილისის სასულიერო სემენარია, რომელსაც ინახავს ქართული საეკლესიო ხაზინა სინოდის დახმარებით, მხოლოდ ორიოდ-სამიოდ ქართველ-ლაშქვებს სწავლა-დამთავრებულს. სამწუხარო შედეგია ქართველ სამღვდელთაგანისათვის...

ავიღოთ თუნდა თბილისის სასულიერო სასწავლებელი. წელს ამ სასწავლებლის ორ მოსამზადებელ განყოფილებაში, სადაც 105 ბავშვამდე ითვლება, თითქმის ნახევარს ქართველები შეადგენენ. შემდეგ ზემოთ შტატის კლასებში კი ქართველთა სახე შესამჩნევად იცვლება: პირველ კლასში ქართველები ახლა ნახევარზედ ნაკლებია, მეორე, მესამე და მეოთხე კლასებში კი შეადგენენ მესამედ-მეოთხედს, ე. ი. თითო კლასშია ქართველი არა უმეტეს 9—11 ბავშვისა. რა მოუვიდათ ქართველთა რიცხვს ზემო კლასებში?—გამოიყარნენ. რო ქართველები ადვილ მიზნით გამოიდევნონ სასწავლებლიდან—სწავლის გზიდან, ნახმარია საშუალებად „განმეორებითი გამოცდა“.

აბა შეინებდეთ ახლა სასულიერო აკადემიებისკენ! წელს უწმინდესი სინოდის ბრძანებით რუსეთის თითხთავ აკადემიებში სახელმწიფო ხარჯზე მიიღებინა ყველა სემინარიებიდან 78 მოწაფე და ამ რიცხვიდან თბილისის სემინარიაში უნდა გაუგზავნოს მხოლოდ ერთი!

საქართველო

მთელს რუსეთის ვრცელ იმპერიას მოედვა გარდაქმნის სული. თვით უკიდურესი მემარჯვენეებიც კი ვეღარ ბედვენ რეფორმების აუცილებლობის წინააღმდეგ ბრძოლას. ამ რეფორმებში ყველაზე უფრო საინტერესოა ჩვენთვის ის მუხლები, რომელნიც შეეხება განაპირა ქვეყნების მართველობის რეორგანიზაციას.

ახლად მისაღებ რეფორმების ეს მხარე არამც თუ არ გვაკმაყოფილებს ჩვენ, ქართველობას, პირიქით თავს შეურაცყოფილადც უნდა ვგრძნობდეთ, იმ თითქმის სისტემატიური იგნორაციის გამო, რომელიც ასე მკაფიოდ გამოითქმის პეტროგრადის სფეროების სარეფორმო გეგმებსა და ზრახვაში. პოლონეთი ომის დაწყებისთანავე შეიქმნა სფეროების სარეფორმო მუშაობის საგნად, ფინლიანდისა და მიაქციეს ომის პირველ ხანებშივე სათანადო ყურადღება და ორივე მხარეებისათვის აღნიშნეს შინაგან ძირითად რეფორმების მიუცილებელი საჭიროება. მხოლოდ საქართველო რჩებოდათ მართველ სფეროებს უყურადღებოდ, მისდა მიუხედავად, რომ ჩვენი ქვეყანა ისევე დაკავშირებული აწინდელ ომიანობასთან, როგორც ზემოხსენებული ორივე ქვეყნები, პასიურად—რადგან სამხრეთ-დასავლეთი და მთელი სამხრეთი საქართველო ისეთივე ასპარეზია ომიანობისა, როგორც პოლონეთი. აქტიურად—რადგან მთელი ქართველობა უებარის თავ-გამოდებით ეწირება მთელს სამშპერო კეთილდღეობას.

ჩვენ უფლება გვაქვს მეტი იმედებისა ფორმალური მხრიავე ჩვენი საერთაშორისო მდგომარეობის გამო. რუსეთის არც ერთ ჯარისკაცს არ დაუღვრია სისხლი ჩვენი ქვეყნის რუსეთთან შესაერთებლად.

მაშ რაა მიზეზი მართველ წრეების მიერ ჩვენი ცხოვრების მოთხოვნილებათა უყურადღებოდ დატოვებისა? შეიძლება რომელიმე გულბრყვილოს ეს მოვლენაც მთავრობის ჩვეულებრივ ინერციისათვის მიეწერა. მაგრამ ამ ბოლო ხანებში ვერც სახალხო წარმომადგენლობის ინსტიტუტმა—სახ. სათათბირომ შეგვასხა იმედების ძლიერი ფრთები: სახელმწიფო საბჭოსა და სათათბიროს ფრაქციათა ბლოკი მხოლოდ ვაკვით იხსენიებს „კავკასიას“—რუსეთის ადმინისტრაციის მიერ ისტორიულ პირობათა საწინააღმდეგოდ შექმნილ ტერიტორიის, რომელიც ძალიან შორსაა ეროვნულისა თუ ტერიტორიულ ეროვნულის გამოხატვისაგან.

მაშ, სად უნდა ვეძიოთ გამოსავალი? ჩვენი ცხოვრება დაეინებით თხოულობს ადგილობრივი სამართველო საჭიროებათა საზოგადოებრივი ძალებით დაკმაყოფილებას;

ეს მოთხოვნა უნდა გამოეთქვათ რუსეთის წინაშე ჩვენს დებუტატებს, რაც მათ არ ჩაიდინეს ჩვენთვის გასაგებ მიზეზებისა გამო.

(შემდეგი იქნება)

ნარ—ხან

ჩვენი ქვეყნის ერთ-ერთ საჭიროებო საკითხთაგანია საბოლოოდ გადასაწყვეტად ჩვენი შეხვედრა ეროვნულ საზოგადოებას. ფრიალ მცირე ჩვენი სურვილი, მინიმალურია ჩვენი მოთხოვნა

მოძმე აქარლებს და თავიანთ წვლილს შეიტანენ საღამოს ხელის შეწყობით.

**გვგავრის უანიჭავი**

(საკუთარ კორესპონდენტისაგან) საუბარი თათრის ბეგთან.

როდესაც არტანუჯის მივიღოთ ერთი ბეგი გავიცანი. პირველ მისალმების შემდეგ კითხვით მომხარათ:

— ვინა ბრძანდებით?

— მე მივდივარ ჩემს, დარბეულ სოფლებში.

— რუსი ბრძანდებით?

— არა, ბატონო, ქართველი.

— ქართველი?— გაკვირვებით მკითხა ბეგმა, — რომ არა ჰგებართ.

— მხოლოდ სახით ბატონო, გულითკი ნამდვილი ქართველი ვარ...

— ძალიან სასიამოვნოა თქვენი გაცნობა, მხოლოდ არ შემიძლია არ შევინიშნო: რა უბედურებაა ეს, რომ ქართველები და ჩვენი, თათრები, „ჩინოვნიკობის“ მადიებელი ვართ. მივიკის ღმერთმანი, სადაც გაიხილა პატარა ჩინოვნიკობა სულ ქართველები არიან, ჯანი გავარდეს, ჩინოვნიკები იყვნენ მხოლოდ დიდი ადგილი მაინც ეჭირათ...

— რომ გზას არ გვაძლევენ?

— არ გვაძლევენ და რა ოხრად გვინდა? აბა გადახედეთ მეზობელ სომხებს, როგორ ნიჭიერად ეწევიან ვაჭრობას, ნუ თუ ასე ნიჭიერ ხალხს, როგორც ქართველები არიან, არ შეუძლიათ ვაჭრობის დაწყება?

— რა თქმა უნდა, შეუძლიათ, ხოლო ამას ერთგვარი შერჩევა სჭირდება. აი დღეს ქართველობაც ფხიზლდება და ნელ-ნელა ვაჭრობა-აღებ-მიცემობას ჰკიდებენ ხელს.

— მაღლობა ღმერთს... მართლა როგორ დამთავრდა ქართული გზების და „ხაკი რეისი“ კამათი რუსულ პრესის უფარვისობაზე და მანებლობაზე?

— ერთიც გაჩუმდა და მეორეც, ხოლო ორთავენი კვლავ განაგრძობენ გამოსვლას.

— ჩემის აზრით, ქართველების რუსული გზებით აუცილებელია. ყოველი თათარი ამას გეტყვით. ხოლო, რა თქმა უნდა, შეიძლება უფრო ფართო და შინაარსიანი გზებით გამოვიყენო.

წარმოიდგინეთ, მთელი ჩვენი ქუთხე თათართა ინტელიგენცია, დღემდის არც ერთი გზებით არ იწერდა. დღეს ვინც ჩათვლით კითხულობს ისიც კი „ხაკი რეისი“ იწერს. სხვა გზებით არც ერთს არ კითხულობენ.

იქნებ ეს იმიტომ იხსენებოდეს, რომ ქართველობა და მაჰმადიანობა ერთგვარად ჩამორჩენილ-დაბერებულა, ვიდრე ჩვენი მეზობელი ერები, ვთქვათ თუნდა სომხობა. ესენი იმდენად მონებრებული და ამასთან შეძლებული ხალხია, რომ თავის გატანა ყოველთვის შეუძლიათ. აი, თუნდა აიღეთ დღევანდელი ომი. თუმცა თქვენ და ჩვენ დიდი მსხვერპლი შეგწირეთ, ჩვენი სოფლები მამულობით ანაივებულა. მართალია, არა ნაკლები მსხვერპლი სომხებმა შესწირეს, მაგრამ დღეს რუსეთის პრესა მათზე ლაპარაკობს,

თუ ლაპარაკობს მავათზე პრესა, ეს იმიტომ რომ თვითონვე ალაპარაკებენ, რაშია ასე რიგად ხელს უწყობს მათი კაპიტალი. არ იფიქროთ, რაკი მე თათარი ვარ მძულდეს სომხები და მიყვარდნენ სხვები. არა, თვით ცხოვრებამ და მათმა საქციელმა აღძრა ეს საკითხი

სულ უბრალო მავალითს მოგიყვანთ, აიღეთ რომელიმე სომხის დაწესებულება, რომ იქ სხვა ერის კაცი მსახურობდეს.

კიდევ ბევრი რამ საგულისხმობია სიკვამლეში, რომლის აღნიშვნას პრესაში

შეიძლება სხვ დროსა და გარემოებაში უფრო მეტი მნიშვნელობა ჰქონიყო, ვიდრე დღეს.

გ. ს. — შვილი.

**ორიოდე სიტყვა დილუბის პოლიტიკაზე**

ყოველ ვლესიას სოფლად და ქალაქად ჰყავს ადრის მნათე, რომელიც კონტროლს უწყის მის შემოსავალ-გასავალს. წინააღ, როცა ეკლესიებს მნათეები არა ჰყავდ: მღვდელს მეტი ბოროტობა-ქმედების ჩდენა შეეძლო. მაგ. სოფლად ზოგი მღვდელი სანთელს თითონ ყიდულობდა დაჰყიდა თავის სახლიდან. მთავრობამ ამ გარემოებას ყურადღება მიაქცია და სავალდებულო გახდა ეკლესიას ჰყავდეს მნათე. მნათეების დაწესებით ეკლესიების შემოსავალ-გასავალი უკეთეს კალაპოტში ჩადგა. ბოროტობა-ქმედება ზოგიერთ მღვდელთაგან თუ სრულიად რ მოისპო შესამწევად მიიწე შეეცირდა.

საოცარი, რომ დილუბის ეკლესიას არა ჰყავს მნათე, რაა, ან ვინა ამის მიზეზი? რითა ნაკლები სხვა ეკლესიებზე დილუბის ეკლესია? პირიქით, თუ სადმე სამართალი, ამ ეკლესიის უმნათუოდ დატოვება უფრო არ შეიძლება, ვიდრე დანარჩენ ეკლესიებისა, რადგან დილუბის ეკლესიას ძვირ დიდი შემოსავალი აქვს და მასთანავე მეტი თვალყურის ქერა და პატრონობაც სჭირია. ვისთვისაა ხელსაყრელი: მრევლისთვის, კრებულისათვის თუ ავით ეკლესიისთვის უმნათუობა?

ძლიერ გრძობა იქნება, თუ მათი ყოველდღე უსამღვდელოესობა, საქართველოს მკვარხოსი პირიქით, მოკლე ხანში დილუბის ეკლესიის მნათის არჩევის განკარგულებას რახდენს და ამასთანავე გაცილობს მის უკანასკნელი წლების ისტორიას, რომელშიაც ბევრს სავალდებულოებს პოპოლს და რომელიდანაც ნათლად შეიძლება დაინახოს ის მთავარი მიზეზი, რის გამოც თითქმის მთლად ჩატეხილია ხიდი ქართველ მრევლთა და ეკლესიის მსახურთა შორის.

კვხი.

**აჭარა**

ზედა აჭარაში, ომისაგან ყველა სოფლებზედ მგუად დახარადა ს. ს. ნანუზ-ოღლი და დანისპარაული.

სოფ. დაინსპარაულში დეკემბერში დიდი ბრძოლა, ქონდათ რუსის ჯარებს ოსმალოს ჯართან და ჩეტნიკებთან. აქ ომი გაგრძელდა თითქმის ერთი თვე. ამ ხნის განმავლობაში ეს სოფელი თითქმის სულ გან დღეობდა. დარჩათ მარტოც ცარიელი სახლები, თორემ შვგ რაც საოჯახო ნივთები ჰქონდათ სულ დაიტაცეს დღესაც რომ ჩახვიდეთ ამ სოფელში და დაიხროთ აქ მცხოვრებლების ბინები, ტირლი მოგივათ იმათ აუტანელ მდგომარეობას რომ გაეცნობით.

მათ თითქმის არაფერი არ აბადიათ. არც სახარცო, ეს აუცილებელი მოთხოვნა არსებობისათვის, არც საგებ-სახურავი, არც ოჯახში საჭირო ნივთები, საქონელი და სხ.

ამ ოჯახებიდან წაიყვანეს უფასოდ და ჯარის საჭიროებას მოახმარეს 49 ცალი ხარი, 42 ძროხა, 31 სულ ცხვარი, 143 საფუტკურ თაფლით და 466 მან. ფულად. რაც შეეხება სიმინდს, პურს, თივას, საგებ-სახურავს და სხვა კიდევ საოჯახო ნივთებს, თითქმის ყველაფერი წაღებულია.

თუმცა ჩვენმა საქველმოქმედო საზოგადოებამ მათ როგორც ყველა აჭარლებს, გაუწია დახმარება, მაგრამ ისეთი დახმარება ძალიან ცოტა არის.

მე დარწმუნებული ვარ, იმათ ასეთ აუტანელ მდგომარეობას კარგად გაეცნენ აჭარაში გამოგზავნილი პ. საყვარელი და პ. ქვეთარაძე, რომელთაც ევალებოდათ გავგოთ სად უფრო დიდი გაჭირვება არის და სად როგორი დახმარება საჭიროა. მათმა მოხსენებებმა, დიდი შთაბეჭდილება მოახდინეს მსმენებლებზედ; მაგრამ ამ საწყალ ვლესებს ძალიან ცოტა გაუკეთდათ საქმიო.

ასეთი ადგილები ითხოვენ განსაკუთრებულ ყურადღებას და მათ უფრო მეტი დახმარება ესაჭიროებათ, ვიდრე იმ სოფლებს, რომელთაც ჯარი თვლით არ

დაუნახავთ და თოფის სროლის ხმასაც ძლიერ ისმენდენ.

ამათმა ასეთმა აუტანელმა მდგომარეობამ სიბრალოლი გამოიწვია აჭარა ჯარის უფროსის პ. გუბსკის გულში და მან გადაიხდა 17 მან. რომელიც მათ უნდა გადაეხდათ ჩეტნიკებიდან გაძარცული ეკლესიის გასახლებლად.

გადიხდა ისეთმა კაცმა, რომელსაც მათთან არაფერი საერთო არა აქვს.

მე მეონი ჩვენი უფრო გული შეგვტკივს ამ ხალხზედ და მეტიც მოგვეთხოვება მათ დახმარებაში.

23 აგვისტოს, როდესაც აქ მთავრობიდან გამოგზავნილ სიმინდს ურიგებდნენ მცხოვრებლებს, შემდეგი გულ-დამწველი სურათი დაეინახეთ.

ერთ გლესს, როდესაც სიმინდს აძლევდნენ მას, მან დაინახა სიმინდში მჭადის ნატები, ფიცხლავ ხელი დაავლო, ჰამა დაუწყა ობ მოკიდებულ მჭადის დის ნატებს. სურათი მაჩვენებელია, თუ რამდენად დამწველია ეს მხარე.

საჭიროა ამ სოფლის მცხოვრებთათვის, რაც შეიძლება ზედმეტი დახმარება ყოველ მხრივ. მათ თითქმის არაფერი არ აბადიათ.

გ. ვ. კახიძე.

**რუსეთის სსრკ-ზე**

„უტრო როსიის დაჯარმება“. მოსკოვის „გრაღინა“ ჟურნალი „გაზეთ უტრო როსიის“ რედაქტორი დაჯარმება 3000 მანეთით; ჯარიმა სამი თვის ციხით გაეგრება, თუ ფულს არ გადაიხდის. დაჯარმება გამოიწვია 22 აგვისტოს ნომერში მოთავსებულმა წერილმა: „შევივარებულ აფთრის გადახტობა“.

„გაზეთების შეჩერება“. მუშათა გაფიცვის გამო არ გამოსულან შემდეგი გაზეთები: „რუსკოე სლოვო“, „რუსკია ვედომოსტი“, „უტრო როსიი“ და საღამოს გაზეთები.

„ოქტომბრის ტეხის ყრილობა“. მოსკოვში გუშინ, კვირას, გამართა ოქტომბრის ტეხის ცენტრალი კომიტეტის სედიომა, გუჩკოვისა და კამენსკის მონაწილეობით.

„მოსკოვის უნივერსიტეტი“. წელს მოსკოვის უნივერსიტეტში 300 ეზრაველი სტუდენტი მიიღეს.

**აჭარაში ღია წარილი**

ბ-ნო რედაქტორი! უმორჩილესად გთხოვთ გარდასცეთ თქვენის გაზეთის საშუალებით ქართველ მოძმე საზოგადოებას ჩვენი გულითადად მადლობა მას ზედა, რომ ქართველმა ძმებმა ჩვენ დახმარება აღმოგვიჩინეს და საკვები სიმინდი მოგვაცოდეს. პატივისცემით: ახმედ აბულაძე, აბდულ მიქელაძე, ქარუნ-ოღლი.

**დეკემბერი**

პეტროპოლისი, 4 სექტემბერი. უმაღლესი სახელით ბიძანება მმართველ სენატს. რა გვცან აუცილებლად შევცება სათადარიგო ბატალიონების და გაძლიერება სანიტარულ დაწესებულებათა მენონიტებით, ვებრძანებთ თანახმად სახელმწიფო სათათბიროს დადასტურებისა და დამტკიცებელი ჩვენით ამა წლის აგვისტოს 22 დღეს კანონით გაიწვიონ.

1) მოლაშქრენი მეორე ხარისხისა 1916 წ. 1912 წლამდის სამეფოს ყველა გუბერნიებში, ოლქებში და სამაზროებში გარდა ვარშავის საგენერალ-გუბერნიატორიისა, კავკასიისა, ამურის პირის საგენერალ-გუბერნიატორიისა და ხოლმის გუბერნიისა.

2) მოლაშქრენი მესამე ხარისხისა, რომელიც მკაცრად გასულან ჯარში, გაწვეულ უნდა იქმნენ 1916 წ. 1898 წლამდის სამეფოს ყველა გუბერნიებიდან, ოლქებიდან და სამაზროებიდან გარდა ვარშავის და ამურის პირის საგენერალ-გუბერნიატორიისა, კავკასიისა და ხოლმის გუბერნიისა. ვადა მეორე ხარისხის მოლაშქრეთა გაწვევისა და პირველ ხარისხის მოლაშქრეთ მენონიტებისა, არის ამა წლის 5 სექტემბერი. მმართველი სენატი არ დასტოვებს ამ ბიძანებას სათანადო განკარგულების მოუხდენლად.

დედაზე მის იმპერატორობის უმაღლესობის საკუთარ ხელით აწერია:

ნიკოლოზი.

სამეფო ბანაკი, 3 სექტემ. 1916 წ. **სტოკოლმი**, 4 სექტემბერი. ბერლინიდან იტყობინებენ რომ გერმანია ჯარში გაიწვიეს ის პირნი რომელნი ბერლინიდან განთავისუფლებულნი იყვნენ. 1870 წლიდანა. აგრეთვე იწვევენ დასახიზრებულ უნტრო-ოფიცრებს, რომელნიც სამოქალაქო სამსახურში შესულან.

**პავრი**, 3 სექტ. ბელგიის ფრონტზე სიჩუმეა—მხოლოდ რუსკაპულე-რენინგეტთან საარტილერიო ბრძოლა.

**ლონდონი**, 4 სექტ. „დელინიოსი“ აზრით მოსალოდნელია დიდი პოლიტიკური კრიზისი. საყოველთაო სამხედრო ბეგრის შემოღების მომხრე მინისტრები სამსახურს თავს ანებებენ, რადგანაც მათ ვერ შესძლეს პარლამენტის დაერწმუნებათ ამ საკითხის აუცილებლობაში.

**სოლუნი**, 4 სექტ. ცარგარდიდან იწყებენ მინისტრთა უკანასკნელ კრებაზე გადასწყვეტეს უფრო მკაცრი დევნა დაუწყონ სომხებს, რადგან მათ ქალაქ ვანის კომენდანტი, ბიძაშვილი ენვერ-ფაშისა მოკლეს.

**თიბრანი**, 5 სექტ. რადგან რამდენიმე თვის განმავლობაში ჯანდარმერიისთვის ჯამაგირი არ მიუციათ, უფროსი მაიორი ელ-ვარი მათს თანდათანობით დათხოვნას შეუდგა. გამოწვეულნი არიან ყარაულები მთავრობის დაწესებულებათა ყველა მისილიდან. ამასთანავე ჯანდარმე-ბაღს, რომლებიც იმყოფებიან სულთან-ბაღსა, კუმსას, ქერმანშახსა, ბურუჯაღსა და ქამედანში, თერანში ბრუნდებიან. გერმანელების მოხრებები მათს თავის მოყრას თერანში რუსების მოძრობის წინააღმდეგ ჰხსნიან.

რედაქტორ-გამომცემელი **სანდრო შანშიაშვილი**

დ. 8 მ. რ. შ. ი.

**ქიმი** ნ. მ. კლიმის შვილი

იღებს შინაგან და ქირურგიულ სნეულე-ბიან ავადმყოფებს.

აკაკის ქუჩა, შეფის ავითაქთან

ამიერ-კავკასიის რიჩის გმის მიმოსულა

(დრო ნაჩვენებია თბილის. საათით)

**თბილისში მოღის:**

№ 3 ბაქოვან . . . 12 ს. 54 წ. დღ.

№ 4 ბათოშიდან . . . 5 ს. 55 წ. საღ.

№ 5 ბაქოვან (სწრაფი) 7 ს. 41 წ. საღ.

№ 10 ბათოშიდან . . . 9 ს. 51 წ. დიღ.

ჯულფიდან . . . 6 ს. 53 წ. დიღ.

ბორჯომიდან . . . 7 ს. 25 წ. დიღ.

„საგარა. 10 ს. 28 წ. საღ.

**თბილისიდან გაღის:**

№ 3 ბათოშიკენ . . . 1 ს. 45 წ. დღ.

№ 4 ბაქოსკენ . . . 7 ს. 3 წ. საღ.

№ 6 ბაქოს (სწრაფი) 12 ს. 8 წ. დღ.

№ 9 ბათოშიკენ . . . 8 ს. 53 წ. საღ.

ჯულფისკენ . . . 10 ს. 23 წ. საღ.

ბორჯომისკენ 3 ს. 29 წ. დღ.

**თევის მრავალნი**

**აგ. კეგელიძე**

პუშკინის ქუჩა, საკუთ. სახ. № 9, ტელეფონი № 712.

**განყოფილება ავლაბარში**

კახეთის ქუჩა, საკუთ. სახ. № 7, ტელეფონი № 712.

ყოველდღე მოგვდის საკუთარ და სავაჭრო სახლ. „**ლ. მანილოვის-შვიტი**“, სამრეწველოებიდან ახალი ქვირითის **ხიზილადა**, მცირე მარილიანი, შავი „**მეშოჩნი**“ ხიზილადა, აგრეთვე ახალ-ახალი მტკვრის ზუთხი, თართი, ფარგა და ლოქო, გვაქვს აგრეთვე მიღებული ყოველგვარი კონსერვები და საღმრთოები რუსეთის და საზღვარ-გარეთის ფირმებისა ხანგრძლივ ინახება.